ორმაგი გვარსახელები ზემო აჭარაში

თემურ ავალიანი - ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე ბარამიძე - ლინგვისტიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

სამეცნიერო სემინარი - 23.03. 2021, ოთხშაბათი, 15 საათი

შესავალი

- რატომ ორმაგი გვარსახელები?
- რატომ ზემო აჭარა?
- გვარი და გვარსახელი
- ორმაგი გვარსახელის რაობის და ისტორიის საკითხისთვის;
- საქართველოს მოსახლეობის 1922 წლის აღწერის მასალებში ოფიციალურად დადასტურებული ორმაგი გვარსახწელები ზემო აჭარაში;
- ზემო აჭარის მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში შემონახული ე.წ. ძველი, „-ოღლი“ ფორმატიანი გვარები ანუ არაოფიციალური ორგვარსახელიანობა.

ორმაგი გვარსახელის რაობის საკითხისათვის

- ორმაგს ვეძახით გვარს, რომელიც ორი გვარის შეერთებისგან წარმოდგება და ერთ პირს აღნიშნავს (აკაკი შანიძე)
- მეტსახელი გვარი, ლაღაბი გვარი („მეტსახელი გვარები ჭოროხის ხობიდან“) – (მამია ფაღავა);
- ორგვარსახელიანობა - (ჩვენ);
- **Двуфамильность (В. Никонов);**
- მეტგვარი, შტოგვარი, თური (მეგრ.), გიმნარყი (მეგრ.)

ორმაგი გვარსახელის რაობისა და ისტორიის საკითხისათვის

- **ორმაგი გვარსახელების წარმოქმნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წყარო *ფეოდალურ ევროპაში* - ქორწინება.** (https://www.waylux.ru/familii_russkie_dvoinye.html). ქორწინების შემდეგ ორმაგ გვარებს ზოგჯერ მამაკაცებიც ატარებდნენ (მაგალითად, თეატრის ცნობილი მოღვაწე ვსევ. *მეიერხოლდის* ორმაგი გვარსახელი და თავისი და მეუღლის ზინაიდა *რაიხის* გვარსახელებიდან).

- *მეორე მნიშვნელოვანი წყარო* - **ერთიანი მრავალრიცხოვანი გვარის განტოტვა, შტოგვარებად დაყოფა.** ერთიანი გვარის დამფუძნებლის სახელიდან (ან მეტსახელიდან ნაწარმოებ გვარსახელს ემატება განშტოების დამფუძნებლის სახელიდან (ან მეტსახელიდან წარმოქმნილი გვარსახელი. (მაგ. რომანოვების სამეფო გვარის წარმომადგენლები ადრე *ზახარინ-იურიევები* იყვნენ. (ასეთია აგრეთვე: *რიმსკი-კორსაკოვი, მუსინ-პუშკინი, ბობრიშჩევ-პუშკინი, სკორნიაკოვ-პისარევი, ივანჩინ-პისარევი და სხვა* (https://www.waylux.ru/familii_russkie_dvoinye.html).

ორმაგი გვარსახელის რაობისა და ისტორიის საკითხისათვის

- ზოგიერთ ქვეყანაში ორმაგ (სამმაგსაც) გვარსახელს მიმართავდნენ უმეტესწილად მაშინ, თუ ოჯახში მხოლოდ ქალიშვილები იყვნენ და **მამის მხრიდან გვარის გამგრძელებელი** არ რჩებოდა *(მაგ. ბრიტანულ ტრადიცია).*

- - ორმაგი გვარის პირველი გვარი ზოგადად მამისგან მოდის და არის პირველადი ოჯახის სახელი, ხოლო მეორე გვარი დედისგან მოდის. მაგალითად, მამაკაცი *გაბრიელ გარსია მარკესი* ***მიუთითებს მამის პირველ გვარს*** *გარსიასა* ***და დედის პირველ გვარს,*** *მარკესზე;* (ესპანური ორმაგი გვარის სისტემა)

- **–** მათ შორის გვარები ბრაზილიიდან, სადაც პორტუგალიური არის უპირატესი ენა, ხშირად განსხვავებული ნიმუშისაა, ვიდრე ესპანურენოვანი ქვეყნებისა, პირველია ***დედის გვარი, მამის გვარი კი მეორე.*** (პორტუგალიური ორმაგი გვარების სისტემა)

ორმაგ გვარსახელთა რაობის და ისტორიის საკითხისათვის

- **XVIII** საუკუნეში ჩნდება ორმაგი გვარსახელების კიდევ ერთი, ძველი რომაული ტრადიციიდან მომდინარე ფუნქცია - დიდებულებისთვის საპატიო ჯილდოს სახით იმ გეოგრაფიული სახელწოდებებისგან ნაწარმოები გვარსახელების მინიჭება, სადაც მათ რაღაც განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს, მაგ.:
- ✓ *რუსეთში - რუმიანცევ-ზადუნაისკი, პასკევიჩ-ერევანსკი, მუარავიოვ-ამურსკი და სხვა.*
- ✓ *საფრანგეთში -* ნაპოლეონმა მარშალ ნეის მოსკოვის აღებისთვის მიანიჭა მეორე გვარიც ***ნეი-მოსკოველი;*** *მარშალ პელისიეს* ***პელისიე-მალახოვი*** *(მალახოვის აღებისთვის)*

А.В. Суперанская
"Наука и жизнь", 1994

ორმაგ გვარსახელთა რაობის და ისტორიის საკითხისათვის

- **არის ქვეყნები, სადაც დღემდე ოფიციალურად იყო აკრძალული ორმაგი გვარები, თუმცა შემდეგ აკრძალვა მოიხსნა. მაგ, გერმანიაში ახალი კანონპროექტით მშობლებს ეძლევათ უფლება ბავშვს ოფიციალურად მისცენ ერთდროულად დედის და მამის გვარები (ორმაგი გვარსახელები გერმანიაში (В Германии …. 2021).**

- *რუსეთში -* გოსდუმამ 2017 წელს მიიღო კანონი, რომლის ერთ-ერთი პუნქტიც **კრძალავს ბავშვისთვის სამმაგი გვარსახელის მიცემას.** მშობლებს უფლება ეძლევათ ბავშვს მისცენ ორი ანუ თავიანთი გვარსახელები, რომელიც შეიძლება ჩაწერონ ნებისმიერი თანამიმდევრობით. თუ ამას შემდეგი ბავშვის შემთხვევაშიც გადაწყვეტენ, შეუძლიათ მისცენ მხოლოდ ის ორმაგი გვარი, რომელიც აქვს პირველ ბაშვს. (Госдума запретила... 2017)

ორმაგ გვარსახელთა საკითხი საქართველოში

- *ბაგრატიონ-მუხრანელი, ბაგრატიონ-მუხრანსკი.*

- „ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **ვაჟა კიკნაძე** ჩვენთან საუბრისას ადასტურებს, რომ ***ქართველებს ორმაგი გვარები, როგორც წესი, არ ახასიათებთ.*** ცხადია, *არსებობს გვარები ალექსი-მესხიშვილი, თარხან-მოურავი და ა.შ, რაც იშვიათობაა* და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ***თარხან -მოურავის*** გვარი თანამდებობიდან გაჩნდა სააკაძეების ნაცვლად“ (ნოზაძე, 2017)

- ჩვენ ორი გვარი გვაქვს: **ბრეგვაძე და ობოლაძე.** არ ვიცი, რომელი იყო ჩვენთვის პირველი გვარი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ერთ-ერთი ჩემი უძველესი წინაპარი იყო მღვდელი და იქიდან მოდის **ჩვენი ორგვარიანობა** (ნანი ბრეგვაძე: ,,ცოტა დავფიქრდეთ ადამიანებო!” – (ბრეგვაძე, 2015);

ორმაგ გვარსახელთა საკითხი საქართველოში
(მეორე გვარსახელი - შტოგვარის ფუნქციის მატარებელი)

- ქართულ ენათმეცნიერებაში შტოგვარს *გვარის დანაყოფის არაოფიციალურ სახელს,* აგრეთვე *„ქვეგვარს“*, *„მეტგვარს“* უწოდებენ, რომელსაც ალ. ღლონტი ასე ხსნის: ეს არის საერთო *გვარის მეტსახელური განტოტება,* გამონაყოფი. ,,გვარი ერთია, გამონაყოფი - რამდენიმე. განტოტებები, უპირველეს ყოვლისა, მრავალრიცხოვან გვარებს შემორჩათ“ (ღლონტი, 1988: 199).

- კახეთში, კერძოდ, სოფელ ქვემო მაღაროში გავრცელებული შტოგვარების მოდელის მიხედვით გვარი იყოფა შტოგვარებად, ისინი, თავის მხრივ, იყოფიან ახალ შტოგვარებად, რომლებსაც ასევე უჩნდებათ განტოტებები და ა. შ. (ნატროშვილი, 2004: 307-308).

უსენაშვილები

↓

ქვემო უსენაანი

↓

ქიტაანი

↓

ბოლლოაანი, თაფლიჭამიაანი და სხვა

ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობის საკითხი ქართულ ანთროპონიმიაში
(მეორე გვარსახელი - მეტგვარის ან შტოგვარის ფუნქციის მატარებელი)

- მ. ფაღავა კლარჯეთში გავრცელებული გვარ-სახელების ანალიზისას წერს: ,,ამავე სოფლებში ჩაგვაწერინეს ძეგლები//მეტსახელები, ***რომლებიც ,,გვარის" ფუნქციასაც ასრულებენ:*** *ქვაბი იბრაიმი, კაკაბერაი ომერაი, ლენგერაი ჰასანაი* და სხვა.

- აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ტერმინი ***მეტგვარი*** ტერმინ ***შტოგვარის*** სინონიმად ვერ განიხილება, რადგან ეს მეტგვარები შტოგვარის ფუნქციას კი არ ასრულებენ, არამედ მეტსახელის მსგავსად მხოლოდ ,,ზედწოდებებია.

- შტოგვარის ფუნქცია თავს იჩენს მაშინ, როცა აუცილებელი ხდება გვარის ქვეშ გაერთიანებული სხვადასხვა განშტოების ერთმანეთისგან გარჩევა: *,,მოლლოღლი, ჩილოღლი* ***(შლაპოღლებ ეტყვიან)*** *.... ყარაბდოღლი, ჭუხა* ***(ქვაბითაველებს ეძახიან)"*** *(ფაღავა, 2017: 205).*

ორმაგ გვარსახელთა საკითხი ზემო აჭარაში
(მეორე გვარსახელი - შტოგვარის ფუნქციის მატარებელი ქართული გვარსახელი)

- ,,მე-19 საუკუნის შუა ხანებში *ფუტკარაძეების* ოჯახის უხუცესი დიდედა - ქალბატონი *დუდია* - ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა ბავშვებს სოფლის მეჩეთში სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. მის პატივსაცემად *ფუტკარაძეების გვარიდან გაჩნდა შტოგვარი ,,დუდიასანი".* შტოგვარის გამოყოფა, ჩვეულებრივ, მამაკაცის სახელთან იყო დაკავშირებული, მაგრამ დიდედა დუდია იმდენად გამორჩეული განათლების მქონე პიროვნება იყო, რომ ახალ შტოგვარს მისი სახელი დაედო საფუძვლად" (პროფ. შუშანა ფუტკარაძის ავტობიოგრაფიიდან");

- ანალოგიურია, მაგალითად, ქედაში, სოფ. აქუცაში დაფიქსირებული ტერმინი *ქომოსანი (ქვედა უბნელები),* თუმცა ის მხოლოდ ერთი გვარის განშტოებას კი არა, ქვედა უბანში მცხოვრებთა ერთობას აღნიშნავს.

- მ. ფაღავას მიერ დაფიქსირებულია ქართული შტოგვარი - *ჯასიმბეგაშვილები* ანალოგიურია აგრეთვე ფუტკარაძეთა გვარის ერთ-ერთი განშტოება *უსტალიშვილები.*

ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობა ზემო აჭარაში
(მეორე გვარსახელი - შტოგვარის ფუნქციის მატარებელი)

- ზემო აჭარაში გავრცელებული შტოგვარების სტრუქტურული თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია, თუმცა, როგორც *ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს*, ძირითადად მაინც **თურქული „ოღლის“** დართვით ნაწარმოები შტოგვარებია პროდუქტიული.

- ასე მაგალითად, შუახეველ *ფუტკარაძეთა გვარი* აერთიანებს *მუსტაფოღლებს, გოჩიოღლებს, მაზანოღლებს, ბობოლოღლებს, შირინალოღლებს, ონბაშოღლებს, ქუჩქალოღლებს, ქურთასანოღლებს* და სხვებს. გადმოცემის თანახმად პირველი სამი - ძმების სახელებისგან წარმოქმნილი გვარებია და შესაბამისად, ისინი ერთი სიხლ-ხორცისანი არიან. ბობოლოღლები კი ადრე *ზოიძეები* ყოფილან და **შემდგომში *ფუტკარაძე* მექანიკურად შეურქმევიათ.**

ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობა ზემო აჭარაში
(1.ოფიციალურად დაფიქსირებული)

❖ ოფიციალურად ფიქსირებული (მოსახლეობის 1922 წლის აღწერის მასალებში)

- ✓ *ქედა, მერისი, ორთამელა (დევაძე-მერჯანოღლი);*
- ✓ *ქედა, ზედა აგარა (დევაძე-ახისხოღლი , დევაძე -კვერნიოღლი, დევაძე-მემიოღლი, დევაძე - ყარაუჩოღლი, დევაძე - შირინოღლი, დევაძე -ჰელიმოღლი, დევაძე-მერჯანიშვილი (ახმედ, მევლუდ); დიასამიძე-ყედიროღლი);*
- ✓ *ქედა, დერეხოხნა/კოლოტაური (გოგ(ო)ლაძე-იაყუფოღლი, გოგ(ო)ლაძე-ხუშუთოღლი; მახარაძე-მუსოღლი; მახარაძე-ფორთოღლი);*
- ✓ *ქედა, საღორეთი (სამნიძე მემედოღლი, სამნიძე-სულეიმანოღლი);*
- ✓ *ქედა, ორთახოხნა/სალაძეები (ფარტენაძე-ბექიროღლი);*
- ✓ *ქედა, კორომხეთი (ფარტენაძე-ბაირახტაროღლი, ფარტენაძე-ქამილოღლი; ფარტენაძე-ხაჯიოღლი);*
- ✓ *შუახევი, ჭვანა, ცენტერაძეები (ცენტერაძე-მემედოღლი);*
- ✓ *ხულო, დიდაჭარა (მურადოღლი-გელაძე)*

ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობა ზემო აჭარაში
(1. მოსახლეობის კოლექტიურ მეხსიერებაში დაფიქსირებული)

- *აჭარელი დავითაძეები* ერთმანეთისგან განასხვავებენ *ველიოღლების, ყარაბდოღლების, დელიმიმიშოღლების, სელიმბაირახტაროღლების, მათრაჯოღლების, უზეიროღლების* და სხვა განშტოებები;

- *ბოლქვაძეები- ყადიოღლების, ომაროღლების, ჯალაბოღლების, ხათიბოღლების, მოლაქესუმოღლების, ჩახალოღლების, სალოღლების, საბძელოღლების, ფარფაროღლების* და სხვა განშტოებებს.

- *ბერიძეები: ქოროღლების, ბექიროღლების, სიღორიოღლების, ყაზანჯოღლების, ყარამემედოღლების, ფეიზოღლების, ყურწოღლების, ჰაჯიოღლების, სელიმოღლების, დემირჩოღლების, ხაბაზოღლების, აბუქეთელოღლების, ჩახალოღლების, თელიქოღლების* და სხვ.

ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობის ერთ-ერთი საფუძველი ზემო აჭარაში
(ერთი გვარის შიგნით ქორწინების თავიდან აცილების პრობლემა)

- როგორც საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეში, აჭარაშიც შტოგვარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია *სისხლით ნათესაობის გარკვევა იყო.*

- ,,კახეთში შტოგვარებს ხშირ შემთხვევაში თავ-თავისი ზედაშეები აქვთ, თავისივე გვარის სხვა შტოგვარებთან ნათესაობა უკვე გამქრალია და *მათ შორის ქორწინებაც დასაშვებია*“(მჭედლიშვილი, 1998: 255).

ქართულ-თურქული ორგვარსახელიანობის ერთ-ერთი საფუძველი ზემო აჭარაში
(ერთი გვარის შიგნით ქორწინების თავიდან აცილების პრობლემა)

- აჭარაში ზოგიერთ ოჯახში *ცოლიც ბერიძეა და ქმარიც.* როგორც ჩვენი გამოკითხვებიდან ჩანს, ისინი *სხვადასხვა განშტოების (ოლლის),* შესაბამისად სხვადასხვა გენეტიკური წარმომავლობის არიან. (იგივე შეიძლება ითქვას *ფუტკარაძეებზე, ზოიძეებზე* და *სხვ.*

- მეორე მხრივ, ქედაში არის სოფელი *ბალაძეები,* სადაც ასევე ბალაძეები ცხოვრობენ, რომელთაც სხვადასხვა „ძველი გვარები“ აქვთ: *კატაროღლები, კუდოღლები, საცეროღლები, ჩხაკოღლები, ლელვოღლები, კირკიტოღლები დასხვ.* ამავე დროს, აქ ერთ ოჯახსაც კი ვერ ნახავთ, სადაც ორივე მეუღლე ბალაძე იქნება, რადგან მათ კოლექტიურ მეხსიერებაში მყარად არის შემორჩენილი მათი სისხლით ნათესაობის აღქმა.

ლიტერატურა

1. **ბრეგვაძე ნანი.** „ცოტა დავფიქრდეთ, ადამიანებო. 21.07.2017. https://artinfo.ge/2015/07/nani-bregvadze-tsota-davphi/)

2. **მჭედლიშვილი მ.** შტოგვარები სოფელ ზემო მაღაროში. ქართველური ონომასტიკა. I. თბ. 1998. გვ. 253-257.

3. **ნოზაძე მანანა.** „ქართული გვარები ისევე ხელუხლებლად უნდა დარჩეს, როგორც დღეს არის, ყოველგვარი შერწყმის გარეშე“, **https://for.ge/view/49194/qarTuli-gvarebi-iseve-xeluxleblad-unda-darCes-rogorc-dRes-aris-yovelgvari-Serwymis-gareSe.html. 27.09.2017**.

4. **ფაღავა მ.** მეტსახელი ჭოროხის ხეობიდან. ბსუ. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი. ფილოლოგიური მაცნე. თბილისი. 2017.

5. **შანიძე აკაკი.** ორმაგი გვარის ბრუნებისათვის **http://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/02/Shanidze-A._1Tomi_38-40_opt.pdf** .

ლიტერატურა

6. **В Германии запретят называть именами диктаторов и разрешат двойные фамилии. https://aussiedlerbote.de/2020/03/v-germanii-zapretyat-nazyvat-imenami-diktatorov-i-razreshat-dvojnye-familii/. 18.05.2021.**

7. Никонов В. А. ГЕОГРАФИЯ ФАМИЛИЙ **М. 1988**.

8. Русские двойные фамилии (**https://www.waylux.ru/familii_russkie_dvoinye.html**).

9. **Суперанская А.В. "Наука и жизнь", 1994.** https://www.imena.org/dbl_fam.html;

10. **Госдума запретила давать детям тройные фамилии. https://www.bbc.com/russian/news-39664937**